ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 57

8 ივნისი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

14:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

ზაზა მამალაძე

გიორგი ბირბიჩაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა, სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

ანდრო ბუაჩიძე

ია ბერიძე

ნატალია ჩაჩხიანი

რევაზ ჩაჩხიანი

დონარა ფხაკაძე

ომარ ფხაკაძე

ჯონ გრემი

ჯეჯე გომელაური

მიხეილ ამაშუკელმა დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაქულბაქევი გიორგის ქუჩისთვის ნაქულბაქევის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის ქუჩისთვის ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის სამადლოს სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა ექვთიმე აღმსარებლის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, იოსებ კვაჭაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის კომპოზიტორის ალექსანდრე შავერზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის სპორტსმენის ომარ ფხაკაძის სახელის მინიჭების შესახებ

8. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის მაქსიმე შარაძის სახელის მინიჭების შესახებ**
9. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბაღთან არსებული უსახელო ხეივნისთვის მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის სახელის მინიჭების შესახებ**

მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაქულბაქევი გიორგის ქუჩისთვის ნაქულბაქევის სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს:კომისიის თავმჯდომარემ პირველი საკითხი წარუდგინა კომისიის წევრებს და დაინტერესებულ მოქალაქეებს. როგორც ცნობილია, 2011 წელს ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ ზურგოვანში უსახელო ქუჩას მიენიჭა ნაქულბაქევი გიორგის სახელი. სახელწოდების უზუსტობა დადგინდა საჯარო რეესტრთან კონსულტაციის შედეგად.

კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია აღნიშნულ საკითხს.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ნაქულბაქევი გიორგის ქუჩას მიენიჭოს ნაქულბაქევის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის ქუჩისთვის ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული ტერიტორიის დამისამართების საკითხი. კომისიაში შემოსული გარდაბნის ქუჩის მაცხოვრებელთა განცხადება. მოსახლეობასთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა აღნიშნულ ტერიტორიას მინიჭებოდა ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის სახელი. კომისიამ შეისწავლა ფილოსოფოსის, მეცნიერებათა დოქტორის თამაზ ბუაჩიძის ბიოგრაფია და მიზანშეწონილად ჩათვალა სახელდება.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები ანდრო ბუაჩიძე (თამაზ ბუაჩიძის შვილი) და მოქალაქე ია ბერიძე. ანდრო ბუაჩიძემ აზრი გამოთქვა საკითხთან დაკავშირებით. მან ისაუბრა მეცნიერის ღვაწლზე. თამაზ ბუაჩიძე იყო უნიკალური ნიჭით გამორჩეული ფილოსოფოსი, 30 წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იმ პერიოდში ფილოსოფიის ინსტიტუტს ინტელექტუალურ ოაზისად მოიხსენიებდნენ. დასასრულს ანდრო ბუაჩიძემ მადლობა გადაუხადა კომისიას დიდი მეცნიერის დაფასებისთვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ თბილისში იარსებებს თამაზ ბუაჩიძის სახელობის ქუჩა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, გარდაბნის ქუჩას მიენიჭოს ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის სამადლოს სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სოფელი სამადლოს თბილისთან შემოერთების შემდეგ გაქრა ისტორიული სახელწოდება. ადგილობრივი მაცხოვრებლების თხოვნით კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა უბანს მინიჭებოდა სამადლოს სახელი.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა მესამე საკითხი.

მომხრე - შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ისტორიულად ჩამოყალიბებულ უბანს მიენიჭოს სამადლოს სახელი.

4. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა ექვთიმე აღმსარებლის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომის თავმდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი. კომისიაში შემოვიდა დაბა კიკეთის მაცხოვრებლების ერთობლივი

განცხადება. ითხოვენ უსახელო ქუჩას მინიჭებოდა წმინდა ექვთიმე აღმსარებლის სახელი. კომისიის მიერ ტერიტორიის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ექვთიმე აღმსარებელი (ექვთიმე კერესელიძე) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად, სახელდების შესათანხმებლად კომისიამ მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანს დეკანოზ მიქაელ ბოტკოველს. თანხმობის დოკუმენტის მიღების შემდეგ, ვინაიდან მიმდერედ წმინდა ექვთიმე აღმსარებლის სახელობის ტაძარი ფუნქციონირებს, კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული სახელდების განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეოთხე საკითხი.

მომხრე - შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს წმინდა ექვთიმე აღმსარებლის სახელი.

5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, იოსებ კვაჭაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა სხდომაზე იოსებ კვაჭაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ ისაუბრა. ტერიტორიის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ქოშიგორაზე, იოსებ კვაჭაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია აღნიშნული ქუჩის გაგრძელება.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდნენ განმცხადებელი ნატალია ჩაჩხიანი და რევაზ ჩაჩხიანი. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას მხარდაჭერისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეხუთე საკითხი.

მომხრე - შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე გაგრძელდეს იოსებ კვაჭაძის ქუჩა.

6. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის კომპოზიტორის ალექსანდრე შავერზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხელ ამაშუკელის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კახა ცაბაძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის კომპოზიტორის ალექსანდრე შავერზაშვილის სახელის მინიჭებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ალექსანდრე შავერზაშვილის ბიოგრაფიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ მისი ღვაწლი მნიშვნელოვანია ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში. სიცოცხლის ბოლომდე ალექსანდრე შავერზაშვილი თბილისის კონსერვატორიაში მოღვაწეობდა, როგორც კომპოზიციის კათედრის პროფესორი. მისი კომპოზიციის კლასის კურსდამთავრებულია არაერთი გამოჩენილი კომპოზიტორი, მათ შორის ბიძინა კვერნაძე, ვაჟა აზარაშვილი, გურამ ბზვანელი, ნუნუ გაბუნია, ნუნუ დუღაშვილი.

მიხეილ ამაშუკელმა საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს კომპოზიტორის ალექსანდრე შავერზაშვილის სახელი.

7. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის სპორტსმენის ომარ ფხაკაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა კომისიას გააცნო ომარ ფხაკაძის ბიოგრაფია. კომისია მიიჩნევს, რომ დედაქალაქში უნდა არსებობდეს ომარ ფხაკაძის ქუჩა. იგი იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ორგზის მსოფლიო რეკორდსმენი ველოსპორტში. ლიხაურის ქუჩის ქალაქგეგმარებითი მდგომარეობა იძლევა სახელდების შესაძლებლობას. ქუჩასთან მდებარეობს ერთი შესახვევი. ოჯახის ზეპირი მომართვის საფუძველზე და კომისიის ინფორმაციით ვაკის რაიონში არსებობდა ომარ ფხაკაძის ქუჩა, მაგრამ ტექნიკური შეცდომის გამო და ქუჩას დაერქვა ლევან უჩანეიშვილის სახელი. საკითხი შეთანხმებულია და მხარდაჭერილია ქუჩის მაცხოვრებლებთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდნენ ოჯახის წევრები დონარა და ომარ ფხაკაძეები. მათ დაადასტურეს ქუჩის მაცხოვრებლების მხარდაჭერა და მადლობა გადაუხადეს კომისიას ომარ ფხაკაძის ღვაწლის დაფასებისთვის.

მიხეილ ამაშუკელმა მეშვიდე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს მიენიჭოს სპორტსმენის ომარ ფხაკაძის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის მაქსიმე შარაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა მიხეილ ამაშუკელთან ერთად განიხილეს 2020 წლის 29 დეკემბერს კომისიაში შემოსული სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს მოქალაქე

რობერტ სილაგაძის მიმართვის საფუძველზე მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

მ/წლის 27 აპრილს კომისიაში შემოსულია ასევე მოქ. ჯონ ა. გრემის განცხადება, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის მაქსიმე შარაძის სახელის მინიჭებას.

კომისიამ შეისწავლა მაქსიმე შარაძის ბიოგრაფია. მან 1882 წელს თბილისში დაარსა საღვთო წიგნთ საკითხავი კაბინეტი, რომლის მიზანი იყო საღვთისმეტყველო განათლების გავრცელება და საეკლესიო გალობის შესწავლა. იგი იყო გაზეთ „ივერიის" ექსპედიტორი და ხაზინადარი, ილია ჭავჭავაძის მოურავი. 1890 წელს დაარსა სტამბა „მ.შარაძე და ამხ. სტამბა", იმავე სახლში, სადაც ილია ჭავჭავაძის ბინა და „ივერიის" რედაქცია იყო განთავსებული. მან მოსკოვიდან ჩამოიტანა ნოტების ასაწყობი შრიფტი, ეს იყო ნოტების საბეჭდი მოწყობილობის პირველი შემოსვლა საქართველოში, სწორედ მის სტამბაში დაიბეჭდა ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე ჩაწერილი ქართული საეკლესიო საგალობლები. მოსახლეობასთან კონსულტაციის შემდეგ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს მაქსიმე შარაძის სახელობის ქუჩა.

აზრი გამოთქვეს: საკითხის განხილვას ესწრებოდა დაინტერესებული პირი ჯონ გრემი. მან აღნიშნა, რომ მაქსიმე შარაძე იყო ექვთიმე კერესელიძის თანამოაზრე, ისინი ერთად მუშაობდნენ და დიდი წვლილი მიუძღვით ქართული საგალობლების მოძიებასა და შენახვაში. ის ფიქრობს, რომ აღნიშნული სახელდება მნიშვნელოვანია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი მერვე საკითხი.

მომხრე - შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის მაქსიმე შარაძის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბაღთან არსებული უსახელო ხეივნისთვის მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია ალ. გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის და „თავისუფალი თეატრის" სამხატვრო ხელმძღვანელის ავთანდილ ვარსიმაშვილის წერილი, რომლითაც თეატრის კოლექტივის სახელით მოგვმართავს თხოვნით თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის სახელი.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი, შეხვედრა შედგა ავთანდილ ვარსიმაშვილთან, რომელსაც თბილისის მერიის მოადგილე ანდრია ბასილაია ესწრებოდა. მხარეებმა განიხილეს თავისუფალი თეატრის მიმდებარედ არსებული ხეივნისთვის ნიკო გომელაურის სახელის მინიჭების საკითხი. ტერიტორიის ადგილზე შესწავლისას გამოითქვა მოსაზრებები სივრცის თემატურ მოწყობასთან დაკავშირებით. ავთანდილ ვარსიმაშვილმა თეატრის სახელით მზაობა გამოთქვა მოწყობილი სივრცის შემდგომ მოვლა-პატრონობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: სხდომას ესწრებოდა ნიკო გომელაურის ოჯახის წევრი ჯეჯე გომელაური.

მან მადლობა გადაუხადა კომისიას ნიკო გომელაურის ღვაწლის დაფასებისთვის, და ასევე მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ მნიშვნელოვან სახელდებაში მონაწილეობა მიიღო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი მეცხრე საკითხი.

მომხრე - შვიდი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბაღთან არსებული უსახელო ხეივანს მიენიჭოს მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის სახელი.

დასასრულს, მიხეილ ამაშუკელმა აღნიშნა, რომ დღევანდელი კომისიის სხდომაზე საჯაროდ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულოს სხდომაზე მიიღებენ.

მიხეილ ამაშუკელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი